დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
28.01.11

ცვლილება შეტანილია 29.05.2013-ის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

საბაკალავრო ნაშრომის მიზანი:
საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. ის არ არის ჯგუფური პროექტი. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა.
სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომში უნდა შეძლოს დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება; ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ–ს აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუს–პროფესორი, თსუ–ს სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელი, თსუ–ს დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი (შესაბამისი სასწავლო–სამეცნიერო ინსტუტუტის/დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილებით).

ერთმა პროფესორმა (//ემერიტუს–პროფესორმა, თსუ–ს სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელმა, თსუ დოქტორანტმა, მოწვეულმა სპეციალისტმა) ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 8 სტუდენტს.

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა:

- საბაკალავრო ნაშრომის თემების ჩამონათვალი განიხილება და ყოველწლიურად მტკიცდება ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ სხდომაზე.
- საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევის შესახებ სტუდენტი დამამთავრებელი სემესტრის დაწყებამდე შესაბამისი განცხადებით მიმართავს საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს; განაცხადში მითითებული უნდა იყოს თემის სათაური და ხელმძღვანელი.
- სემესტრის დასწყისში, აკადემიური რედგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, სტუდენტი სასწავლო ბარათში (sms.tsu.ge) აფიქსირებს თავის არჩევანს და რეგისტრირდება საგანზე: საბაკალავრო ნაშრომი (შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის მითითებით).

- ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ სხდომაზე მტკიცდება თითოეული სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი, რის შესახებაც დგება ოქმი.
- ოქმის ასლი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან არაუგიანეს ორი კვირისა.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ენა ქართულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სწავლება მიმდინარეობს სხვა ენაზე). უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა: საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი)
2. სარჩევი (შინაარსი)
3. ანოტაცია
4. ტექსტი
5. გამოყენებული ლიტერატურის სია

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი): ივსება ქვემოთმოყვანილი წესის მიხედვით:

- სრული დასახელება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების, სადაც შესრულდა ნაშრომი *(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბაკალავრო პროგრამის დასახელება) (შრიფტის ზომა: 14);*
- 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება სტუდენტის გვარი და სახელი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16); (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და ბრჭყალებში ჩასმა საჭირო არ არის) ;
- ნაშრომის დასახელების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი დასაცავად. (შრიფტის ზომა: 14); *(მაგ.: ნაშრომი შესრულებულია ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)*
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12) ;
- სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში, იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი (სიტყვა "წელი"-ს გარეშე) (შრიფტის ზომა: 12)

ანოტაცია: აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 100-150 სიტყვა, ანოტაცია იწერება ქართულად.

სარჩევი (შინაარსი): მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

ტექსტი

შესავალი: ნაშრომის ამ ნაწილში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგანი, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდ/ებ/ი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები (ასეთის საჭიროების შენთხვევაში).

შესავლის მოცულობა სასურველია, არ აღემატებოდეს 5 გვერდს.

ტექსტის ძირითადი ნაწილი: ძირითადი ტექსტი შესაძლებელია დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. თავები ინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომის შრიფტით. ტექსტში უნდა ჩანდეს მასალის ფლობა, არგუმენტაცია, ლოგიკური ანალიზის უნარი, მონაცემები.

დასკვნა: ასახავს ნაშრომის კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს, მოკლედ აისახება ნაშრომის მნიშვნელობა, ღირებულება და ასევე გამოყენების სფერო.

საბაკალავრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

ტექსტის დაკაბადონების წესი:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე
2. შრიფტის სახე - Sylfaen
3. ტექსტის შრიფტის ზომა - 12
4. თავების/პარაგრაფების შრიფტის ზომა - 16/14
5. სქოლიოს შრიფტის ზომა -10
6. სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
7. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1სმ, ზემოდან -2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
8. ნაშრომის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მერყეობდეს - არაუმეტეს 40 გვ. (80 000 ასო-ნიშანი), არანაკლებ 20 გვერდისა (40 000 ასო-ნიშანი)

გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

- ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ ქართულ, შემდეგ უცხოურ ენებზე);
- წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდების საერთო რაოდენობა;
- სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის გვარი, ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, საწყისი და ბოლო გვერდები.
- ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – სურათები, ცხრილები, დიაგრამები, სქემები უნდა დაინომროს ნაშრომის თავის მითითებით,მაგ.: მაგ.: 1.1, 1.2 და ა.შ

- ტექსტში გამოყენებული ფორმულებიდან უნდა გადაინომროს მხოლოდ ისინი, რომელთა მითითებაც ხდება შემდგომში. ფორმულების აღმნიშვნელი ნუმერაცია, გამოსახული არაბული რიცხვებით მაგ (4.5)

- საბაკალავრო ნაშრომის ტექსტში გამოყენებული კონკრეტული ნაშრომის განხილვისას და ავტორისეული მოსაზრების დაფიქსირებისას მრგვალ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს მისი ინიციალი, გვარი და ნაშრომის გამოქვეყნების წელი; მაგ.: (დ. უზნაძე 1998);
- ტექსტში გამოყენებული ციტატების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის ინიციალი, გვარი, წელი და გვერდი. მაგ: [დ. უზნაძე 1998: 16]; ტექსტში ჩართული, ციტატა უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით (იტალიკით).
- შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით. შენიშვნების/სქოლიოების შრიფტის ზომა: 10

ინსტრუქციის ამ ნაწილში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია იყოს განსხვავებული მოთხოვნა.

პლაგიატი:
ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.
პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიეთ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.
პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული ან უყურადღებობით დაშვებული. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვა გადაიდება ერთი სემესტრით.

საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა:
- სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომი ელექტრონული ვერსიასთან (CD) ერთად არაუგვიანეს სასესიო პერიოდის დაწყებიდან ერთი კვირისა უნდა წარადგინოს შესაბამის ინსტიტუტში/დეპარტამენტში.
- ამოღებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2013 წლის 29 მაისის სხდომის დადგენილებით
- საბაკალავრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება.
- ამოღებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2013 წლის 29 მაისის სხდომის დადგენილებით
- საბაკალავრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული).
- საბაკალავრო ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა;
- ინსტიტუტი/დეპარტამენტი გამოყოფს საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტს. რეცენზენტი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ

პროფესორი), ემერიტუს–პროფესორი, თსუ სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელი, თსუ დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი.

- საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.
- რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 11 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება.
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, დეკანის განკარგულებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
- ნაშრომი შეფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე ხდება სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით.
- საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი.
- საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტი 51 ქულის.
- საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად(F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი.
- ოქმს თან უნდა ერთვოდეს რეზენზიები და კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
- დაცვიდან ორ დღეში ოქმის ასლი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ხოლო უწყისი - ფაკულტეტის კანცელარიას, შეფასების სტუდენტის სასწავლო ბარათში შესატანად.
- სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები რჩება ინსტიტუტში/დეპარტამენტში, ხოლო ბეჭდური ვერსია ინახება თსუ- ში დადგენილი წესის მიხედვით.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფკულტეტზე საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და და დაცვის წესი დამტკიცებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 2011 წლის 28 იანვარს.

ძალაში შედის 2010–11 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა **ისტორია**

ქართველიშვილი ალექსანდრე

სახელმწიფოს მოწყობის ანტიკური კონცეფციები

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი დავით დგებუაძე,
ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2011

დანართი2

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ერთ–ერთი შესაძლო ვარიანტი

1. ნაშრომი (ფასდება რეცენზენტის მიერ)	**მაქს. 60 ქულა** (დაცვაზე გასვლის წინაპირობაა მინიმ.11 ქულა)
ა) ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა)	**მაქს**. 10
ბ) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	**მაქს. 50**
• ფაქტობრივი მასალის ფლობა –15 ქულა • კვლევისა და ანალიზის უნარი –15ქულა • არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი– 10ქულა • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა	
2. ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია) (ფასდება კომისიის წევრების მიერ ნასრომის საჯარო დაცვის დროს)	**მაქს. 40 ქულა** (დადებითი შეფასება –მინიმ. 20 ქულ
ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე • მასალის ფლობა –10ქულა • ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –10ქულა • აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10ქულა	**მაქს. 30 ქულა**
ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	**მაქს. 10 ქულა**
ნაშრომის საბოლოო შეფასება (რეცენზენტის ქულას+კომისიის საბოლოო შეფასებ)	**100 ქულა** დადებითი შეფასება

	მინიმუმ 51 ქულა

შესრულებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.